ევროპული კონვენცია სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ

ბაზელი, 1972 წლის 16 მაისი

პრეამბულა

ქვემორე ხელისმომწერი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრ სახელმწიფოებს შორის დიდი ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ ფაქტს, რომ საერთაშორისო სამართალში არის ტენდენცია შემცირდეს ის საქმეები, სადაც სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს იმუნიტეტი უცხოეთის სასამართლოს წინაშე;

სურთ რა, ჩამოაყალიბონ მათ შორის ურთიერთობებში საერთო წესები, რომლებიც დაკავშირებულია ერთი სახელმწიფოს იმუნიტეტთან მეორე სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქციისაგან, და რომლებიც შესაძლებელს გახდიან უზრუნველყონ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულება;

ითვალისწინებენ, რომ ასეთი წესების მიღება ხელს შეუწყობს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების საქმიანობას, სამართლის სფეროში ჰარონიზაციაზე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I – იმუნიტეტი იურისდიქციისაგან

მუხლი 1

1. ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც იწყებს ან ერთვება სხვა ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს საქმის წარმოებაში, ასეთი საქმია წარმოების მიზნისათვის, აღიარებს ამ სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქციის განხორციელებაზე.

2. ასეთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს იმუნიტეტი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქციისაგან იმ ნებისმიერ შეგებებულ სარჩელთან მიმართებაში:

ა. რომელიც წარმოიშვება იმ სამართლებრივი ურთიერთობებისაგან ან ფექტებისაგან, რაზედაც დამყარებული ძირითადი სარჩელი;
ბ. თუ, წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად, მას არ ექნებოდა შესაძლებლობა გამოეყენებინა იმუნიტეტი ასეთ შეგებებულ სარჩელზე, თუ ცალკე საქმია წარმოება იქნებოდა დაწყებული მის წინააღმდეგ ამ სასამართლოებში.

3. ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც შედის შეგებებული სარჩელით სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოებში აღიარებს ამ სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქციას არა მხოლოდ შეგებებულ, არამედ ძირითად სარჩელთან დაკავშირებითაც.

მუხლი 2

ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს იმუნიტეტი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან, თუ ეგი დათანხმდა აღიაროს ამ სასამართლოს იურისდიქცია:

ა. საერთაშორისო შეთანხმებით;
ბ. პირდაპირი დებულებით, რომელიც შესულია წერილობით გაფორმებულ კონტრაქტში; ან
გ. პირდაპირი თანხმობით, რომელიც გაცემულ იქნა მხარეებს შორის დავის წარმოშობის შემდეგ.

მუხლი 3

*1. ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან თუ, მანამ სანამ დაეყრდნობოდა იმუნიტეტს ეგი დგავს ისეთ ნაბიჯებს საქმის წარმოებაში, რომლებიც დაკავშირებულია **მერიტებთან (საქმის შინაარსთან).** თუმცა, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო დაუმტკიცებს სასამართლოს, რომ მას არ შეეძლო სცოდნოდა ის ფაქტები, რომლებზეც შესაძლოა დაფუძნებულიყო იმუტეტის მოთხოვნა მანამ სანამ ის გადადგავდა ასეთ ნაბიჯს, მას შეუძლია მოითხოვის იმუნიტეტი ასეთ ფაქტებზე დაყრნობით, თუ ეგი ამას აკეთებს უახლოეს შესაძლებლობის მომენტში.*

2. ჩაითვლება, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოს მოიხსნა იმუნიტეტი, თუ ეგი წარსდგება სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს წინაშე რათა დაიცვას იმუნიტეტი.

მუხლი 4

1. მეხუთე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქციისაგან, თუ საქმის წარმოება ეხება ამ სახელმწიფოს ვალდებულებას, რომელიც, კონტრაქტის შესაბამისად, უნდა განხორციელებულიყო სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

2. პირველი პუნქტი არ გამოიყენება:

ა. როდესაც კონტრაქტი დადებულია სახელმწიფოებს შორის;
ბ. თუ კონტრაქტის მხარეებს სხვაგვარად აქვთ გადაწყვეტილი წერილობით;
გ. თუ სახელმწიფო არის მხარე მის ტერიტორიაზე დადებული კონტრაქტისა და სახელმწიფოს ვალდებულებები მოწესრიგებული ადმინისტრაციული კანონმდებლობით.

მუხლი 5

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან თუ საქმის წარმოება დაკავშირებული სახელმწიფოსა და პირს შორის გაფორმებულ შრომით კონტრაქტთან, სადაც საქმიანობა უნდა განხორციელებულიყო სასამართლოს (ფორუმი) ადგილმდებარეობის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

2. პირველი პუნქტი არ გამოიყენება:

ა. პირი არის დამსაქმებელი სახელმწიფოს მოქალაქე, იმ დროს როდესაც საქმის წარმოება დაიწყო;
ბ. მაშინ როდესაც კონტრაქტი შევიდა ძალაში, პირი არ იყო არ სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს მოქალაქე და არც ამ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები; ან
გ. კონტრაქტის მხარეები სხვაგვარად იყვნენ შეთანხმებულნი წერილობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს კანონმდებლობით, ამ სახელმწიფოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია განსახილველი საქმის გარემოებების გამო.

3. როდესაც საქმიანობა განხორციელდა სამსახურისთვის, სააგენტოსთვის ან მეშვიდე მუხლის მე-2 ა და ბ პუნქტებში მითითებული დაწესებულებისთვი, წინამდებარე მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის ძალაში შესვლის მომენტისათვის, პირს გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელიც ასაქმებს მას.

მუხლი 6

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან, თუ იგი მონაწილეობს ერთ ან მეტ პიზიკურ პირთან ერთად კომპანიაში, ასოციაციაში ან სხვა იურიდიულ პირში, რომელსაც გააჩნია მისი მისამართი, რეოგსტრირებული ოფისი ან საქმინობის ძირითადი ადგილი სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და საქმის წარმოება ეხება ურთიერთობებს, ასეთ მონაწილოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ერთის მხრივ სახელმწიფოსა და მეორეს მხრივ წარმონაქმსა ან ნებიმისმიერ სხვა მონაწილეს შორის.

2. პირველი პუნქტი არ გამოიყენება თუ სხვაგვარად არის შეთანხნებული წერილობით.

მუხლი 7

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან, თუ სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მას გააჩნია სამსახური, სააგენტო ან სხვა სახის დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც, როგორც კერძო პირი, იგი ჩაბმულია სამეწარმეო, სავაჭრო ან ფინანსურ საქმიანობაში, და საქმის წარმოება კი უკავშირდება სამსახურის, სააგენტოს ან სხვა სახის დაწესებულების საქმიანობას.

2. პირველი პუნქტი არ გამოიყენება თუ დავის ყველა მხარეები არიან სახელმწიფოები, ან თუ მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ წერილობით.

მუხლი 8

ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან თუ საქმის წარმოება დაკავშირებულია:

ა. პატენტთან, სამეწარმეო ნიმუშთან, სავაჭრო ნიშანთან, სამომსახურეო ნიშანთან ან სხვა მსგავს უფლებასთან, რომელიც სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოში იყო გამოყენებული, რეგისტრირებული ან დეპონირებული ან სხვაგვარად დაცული და რომელთან მიმართებაში სახელმწიფო არის მომთხოვნი ან მეპატრონე;
ბ. სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მის მიერ მესამე პირისათვის მიკუთვნებული და ამ სახელმწიფოში დაცული უფლების დარღვევასთან;
გ. სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მის მიერ მესამე პირისათვის მიკუთვნებული და ამ სახელმწიფოში დაცული საავტორო უფლების დარღვევასთან;
დ. სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოში სავაჭრო ნიშნით სარგებლობის უფლებასთან.

მუხლი 9

ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან თუ საქმის წარმოება დაკავშირებულია:

ა. მის უფლებებსა და ინტერესებთან, ან მის მიერ უზრავი ქონების გამოყენებასა ან მფლობელობასთან; ან
ბ. მის ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიშვება მისი უფლებებისა და იტერესებისგან, ან ან მის მიერ უზრავი ქონების გამოყენებისა ან მფლობელობისგან

და საკუთრება მდებარეობს სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 10

ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან თუ საქმის წარმოება დაკავშირებულია მოძრავი ან უძრავი ქონების უფლებასთან, რომელიც წარმოიშვება მემკვიდრეობის, ჩუქების ან bona vacantia *გზით.*

მუხლი 11

ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან ისეთ საქმის წარმოებაში, რომელიც დაკავშირებულია პირისათვის მიყენებული ზარალის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან, თუ ზარალის ან ზიანის გამომწვევ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ სასამართლოს ადგილმდებაროების სახელმწიფოს ტერიტორიაზე და თუ ზარალის ან ზიანის მიმყენებელი იმყოფებოდა ამ ტერიტორიაზე მაშინ როდესაც ადგილი ჰქონდათ ზემოხსენებულ ფაქტებს.

მუხლი 12

1. როდესაც ხელშემკვრელი მხარე წერილობით თანხმდება არბიტრაჟისთვის ისეთი დავის გადაცემაზე, რომელიც წარმოიშვა ან შესაძლებელია წარმოიშვას სამოქალაქო ან სავაჭრო საკითხებისაგან, ამ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იმუნიტეტს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან ტერიტორიზე ან იმ კანონის შესაბამისად, რომელზე დაყრდნობითაც არბიტრაჟს ჰქონდა ან ექნება ადგილი ნებისმიერ საქმის წარმოებაზე, რომელიც დაკავშირებულია:

ა. საარბიტრაჟო შეთანხების მოქმედებასა და განმარტებასთან;
ბ. საარბიტრაჟო პრეცედურასთან;
*გ. **<u>ავარდის</u>** გადაწყვეტასთან,*

თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით.

2. პირველი პუნქტი არ იმოქმედებს სახელმწიფოებს შორის დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან მიმართებაში.

მუხლი 13

პირველი მუხლი პირველი პუნქტი არ გამოიყენება, როდეაც ხელშემკვრელი სახელმწიფო ადასტურებს, სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოებაში, რომლის მხარეც იგი არ არის, რომ მას გააჩნია უფლება ან ინტერესი იმ საკუთრებაში, რომელიც წარმოადგენს საქმის წარმოების საგანს და სახეზეა ისეთი გარემოებანი, რომ მას ექნებოდა უფლება იმუნიტეტზე იმ შემთხვევაში თუ საქმის წარმოება მიმართული იქნებოდა მის წინააღმდეგ.

მუხლი 14

წინამდებარე კონვენციაში არაფერი შეიძლება იქნა განმარტებული, როგორც ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოსთვის შემძღუდველი, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს ადმინისტრირება ან საკუთრების ადმინისტრირების მოწყობის ზედამხედველობა, როგორიცაა სატრასტო საკუთრება ან გაბანკროტებული ქონება, მხოლოდ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოს ამ საკუთრებასთან მიმართებაში გააჩნია უფლება ან ინტერესი.

მუხლი 15

ხელშემკვრელი სახელმწიფო საგრებლობს იმუნიტეტით სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან თუ საქმის წარმოება არ შედის პირველიდან მეთოთხმეტე მუხლების ფარგლებში; სასამართლო უარს იტყვის წარმართოს ასეთი საქმის წარმოება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო საერთოდ არ ცხადდება.

თავი II – საპროცედურო წესები

მუხლი 16

1. სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოში, ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმართულ საქმია წარმოებაში გამოიყენება შემდეგი წესები.

2. სასამართლოს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები წარუდგენენ

- იმ დოკუმენტის დედანს ან ასლს, რომლის საფუძველზე საქმის წარმოება იქნა დაწყებული;
- იმ ნებისმიერი სასმართლო გადაწყვეტილების ასლს, რომელიც მიღებული დეფოლტით იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენდა მოპასუხეს საქმის წარმოებაში,

დიპლომატიური არხებით მოპასუხე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და როცა აუცილებელია შესაბამისი ორგანისთვის შემდგომი გადაგზავნის მიზნით. ამ დოკუმენტებს თან უნდა დაერთოს, თუ აუცილებელია, თარგმანი მოპასუხე სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

3. მეორე პუნქტში მითითებული დოკუმეტების სერვისი იწყება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მათი მიღებიდან.

4. დროის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უნდა დააფისიროს მონაწილეობა ან გაასაჩივროს დეფოლტით მიღებული ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება გრძელდება ორი თვე იმ თარიღიდან, როდესდაც დოკუმენტი, რომლიც საფუძველზეც საქმის წარმოება იქნა წამოწყებული ან სასამართლო გადაწყვეტილების ასლი იქნა მიღებული საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

5. თუ დროის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უნდა დააფისიროს მონაწილეობა ან გაასაჩივროს დეფოლტით მიღებული ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ, სასამართლო მისცემს სახელმწიფოს არანაკლებ ორი თვისა იმ თარიღიდან, როდესდაც დოკუმენტი, რომლიც საფუძველზეც საქმის წარმოება იქნა წამოწყებული ან სასამართლო გადაწყვეტილების ასლი იქნა მიღებული საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

6. ითვლება, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობა სერვისის მეთოდისამი მოხსნილია, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო ცხადდება საქმის წარმოებაში.

7. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო არ ცხადდება, დეფოლტით სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნას მის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ დოკუშენტი, რომლითან საქმის წამროება იქნა წამოწყებული გადაგზავნილ იქნა მეორე პუნქტის შესაბამისად, და მეოთხე და მეხუთე პუნქტებით გამოცხადებისათვის დადგენილი დროის ლიმიტი იქნა დაცული.

მუხლი 17

არანაირი გარანტია, ბონდი ან დეპოზიტი, ნებისმიერად აღწერილი, რომლის მოთხოვნაც არ შეიძლება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ამ სახელმწიფოს მოქალაქისაგან ან პირისაგან, რომელიც იქ ცხოვრობს ან იმყოფება, არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშემკვრელ სახელმწიფოს რათა

გარანტირებულ იქნას სასამართლო ხარჯებისა და საფასურის გადახდა. სახელმწიფო, რომელიც არის მოსარჩლე სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოებში გადაიხდის ნებისმიერ სასამართლო ხარჯსა თუ საფასურს, რომელიც მას დაეკისრება.

მუხლი 18

ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს წინაშე წარმოადგენს საქმის წარმოების მხარეს არ შეიძლება იყოს დაქვემდებარებული ნებისმიერ ძალდატანებით ზომას, ან ნებისმიერ სასჯელს, იმის გამო, რომ ვერ მოახერხა ან უარი განაცხადა წარმოედგინა ნებისმიერი დოკუმენტი ან სხვა მტკიცებულება. თუმცა, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ნებისმიერი დასკვნა, რომელიც მას მიაჩნია მართებულად ასეთი უარის ან შეუძლებლობის ფაქტისაგან.

მუხლი 19

1. სასამართლო, რომლიც წინაშეც საქმის წარმოებაა დაწყებული სადაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხარე, მხარეთაგან ერთ-ერთის მოთხოვნით, თუ ამის საშუალება მას მინიჭებული აქვს ეროვნული კანონმდებლობით, ან თავისი ინიციატივით, უარს ამბობს საქმის განხილვის გაგრძელებაზე ან შეაჩერებს საქმის წარმოებას თუ სხვა საქმის წარმოება იმავე მხარეებს შორის, იმავე ფაქტების საფუძველზევე და იმავე მიზნით:

ა. მიმდინარეობს ამ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოში და რომელიც უფრო ადრე იქნა წამოწყებული; ან
ბ. მიმდინარეობს ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოში, სადაც უფრო ადრე იქნა წამოწყებული და რომელსაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს სასამართლო გადაწყვეტილება, რომელსაც საქმის წარმოების მონაწილე სახელმწიფომ უნდა მისცეს მსვლელობა მე-20 ან 25-ე მუხლების თანახმად.

2. ნებისმიერ სახემწიფოს, რომლიც კანონმდებლობაც რთავს ნებას სასამართლოებს თვითონ გადაწყვიტონ უარი თქვან საქმის განხილვაზე ან შეაჩერონს საქმის წარმოება მაშინ როდესაც საქმის წარმოება ივივე მხარეებს შორის, იმავე ფაქტებზე დაყრდნობითა და იმავე მიზნით მიმდინარეობს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოში, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით განაცხადოს, რომ პირველი პუნქტის დებულებანი არ წარმოადგენენ სავალდებულოს მისი სასამართლოებისათვის.

თავი III – სასამართლო გადაწყვეტილების შედეგი

მუხლი 20

1. ხელშემკვრელი სახელმწიფო მისცემს მსვლელობას სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მის წინააღმდეგ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას:

ა. იმ შემთხვევაში თუ პირველიდან მეცამეტე მუხლების დებულებების თანახმად, სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყდნოს იმუნიტეტს იურისდიქციისაგან, და
ბ. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო გადაწყვეტილება არ ან აღარ შეიძლება დარჩეს ესაიდ თუ მიღებულია დეფოლტით ან თუ ის არ ან აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას ან ნებისმიერ სხვა ფორმას ჩვეულებრივი გადასინჯვის ან გაუქმებისათვის.

2. მიიხედავად ამისა, ხელშემკვრელი მხარე არ არის ვალდებული მისცეს მსვლელობა ასეთ სასამართლო გადაწყვეტილებას იმ ნებისმიერ შემთხვევაში:

ა. როდესაც ეს იქნებოდა პირდაპირ წინააღმდეგობაში საჯარო პოლიტიკისთვის ამ სახელმწიფოში ამის გაკეთება ან როდესაც, არის გარემოებანი, სადაც რომელიმე მხარე არ გააჩნდა ადექვატური შესაძლებლობები სამართლიანად წარმოედგინა მისი საქმე;
ბ. როდესაც საქმის წარმოება იმავე მხარეებსშორის, იმავე ფაქტებზე დაფუძნებული და იმავე მიზნის მატარებელი:

i. მიმდინარეობს ამ სახელმწიფოს სასამართლოში, სადაც იგი იქნა პირველად ინიციირებული;
ii. მიმდინარეობს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოში, საც იგი იქნა პირველად ინიციირებული და შესაძლოა დასრულდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელსაც საქმია წარმოების მონაწილე სახელმწიფომ უნდა მისცეს მსვლელობა წინამდებარე კონვენციის პირობების თანახმად;

გ. როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების შედეგი არ შეესაბამება იმავე მხარეებს შორის საქმეზე მიღებული სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შედეგს:

i. რომელიც მიღებულია ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს მიერ, თუ საქმის წარმოება ამ სასამართლოში უფრო ადრე იყო წამოწყებული ან თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ სასამართლო გადაწყვეტილებამდე უფრო ადრე, რომელიც აკმაყოფილებს 1ბ პუნქტში ჩამოყალიბებულ პირობებს; ან
ii. რომელიც მიღებულია სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, როდესაც სხვა სასამართლო გადაწყვეტილება უფრო ადრე აკმაყოფილებს წინამდებარე კონვენციაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

დ. როდესაც არ იქნა დაცული მეთექვსმეტე მუხლის დებულებები და სახელმწიფო არ წარსდგა ან არ გაასაჩივრა დეფოლტით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება.

3. გარდა ამისა, მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშემკვრელი სახელმწიფო არ არის ვალდებული მისცეს მსვლელობა სასამართლო გადაწყვეტილებას:

ა. თუ ადგილმდებარეობის სახელმწიფოს სასამართლოებს არ ექნებოდათ უფლება ეტვირთათ ის იურისდიქცია, რომელიც მათ გამოყენეს, mutatis mutandis, იურისდიქციის წესები (გარდა იმ წესებისა, რომლებიც მითითებული წინამდებარე კონვენციის დანართში), რომლებიც მოქმედებენ იმ სახელმწიფოში, რომლის წინააღმდეგაც სასამართლო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან
ბ. თუ სასამართლომ, იმ კანონმდებლობის გამოყენებით, რომელიც განხვავდება კანონმდებლობისაგან, რომელიც იქნებოდა გამოყენებული ამ სახელმწიფოს კერძო საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად, მიიღო იმისაგან განსხვავებული შედეგი, რომელიც იქნებოდა მიღებული იმ კანონმდებლობის გამოყენებით, რასაც ადგენს ზემოხსენებული წესები.

თუმცა, ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს a. და b. ქვეპუნქტებში ზემოთ ჩამოყალიბებულ უარის თქმის საფუძვლებს იმ შემთხვევაში თუ მისთვის ძალაშია შეთანხმება ადგილმდებარეობის სახელმწიფოსთან სასამართლო გადაწყვეტილებათა აღიარებისა და შესრულების შესახებ და სასამართლო დაგაწყვეტილება შესაბამისობაშია ამ შეთანხმებების მოთხოვნებთან, რომლებიც უკავშირდებიან იურისდიქციას, და სადაც საჭიროა, გამოყენებად სამართალს.

მუხლი 21

1. როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ და აღნიშნული ხელშემკვრელი სახელმწიფოს არ აძლევს მას მსვლელობას, მხარე, რომელსაც სურს გამოიყენოს სასამართლო გადაწყვეტილება უფლებამოსილია მოითხოვის, რათა ამ სახელმწიფოს კომპეტენტურმა სასამართლომ გადაწყვტოს საკითხი უნდა მიეცეს თუ არა მსვლელობა სასამართლო გადაწყვეტილებას მეოცე მუხლის შესაბამისად. თუ მისი კანონმდებლობა ამას უშვებს,

საქმის წარმოება სასამართლოს წინაშე ასევე შესაძლებელია დაიწყოს იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.

2. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია მეოცე მუხლის გამოყენებისათვის, შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტურ სასამართლოს არ შეუძლია სასამართლო გადაწყვეტილების არსებითი გადასინჯვა.

3. როდესაც პირველი პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოებაა წამოწყებული სახელმწიფოს სასამართლოში:

ა. მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა იყვნენ მოსმენილნი საქმის წარმოების დროს;
ბ. იმ მხარის მიერ შემუშავებული დოკუმენტები, რომელიც ითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების გამოყენებას არ დაექვემდებარებიან ლეგალიზაციის ან ნებისმიერი მსგავსი ფორმალობების წესებს;
გ. არანაირი გარანტია, ბონდი ან დეპოზიტი, ნებისმიერად აღწერილი იქნება მოთხოვნილი მხარისაგან რომელსაც სურს სასამართლო გადაწყვეტილების გამოყენება მისი მოქალაქეობის, საცხოვრებლის ან ადგილმდებარეობის საფუძველზე;
დ. სასამართლო გადაწყვეტილების გამომყენებლ მხარეს უფლება აქვს მიიღოს სამართლებრივი დახმარება იმ პირობებით, რომელიც არ ჩამოყვარდება იმ პირობებს, რაც გამოიყენება ამ სახელმწიფოების მოქალაქების მიერ, ვინც ცხოვრობენ და იმყოფენიან იქ.

4. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას შეუძლია დანიშნოს სასამართლო ან სასამართლოები, რომლებიც მითითებული პირველ პუნქტში და ამის თაობაზე აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 22

1. ხელშემკვრელი მხარე მისცემს მსვლელობას იმ მოგვარებას, რომლის მხარეც ივი არის და რომელიც გაკეთდა სხვა ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების დროს; მე-20 მუხლის დებულებანი არ გამოიყენება ასეთ მოგავრებებთან მიმართებაში.

2. თუ სახელმწიფო არ აძლევს მსვლელობას ასეთ მოგვარებას, 21-ე მუხლში გათვალისწინებული პროცედურების შეიძლება იქნას გამოყენებული.

მუხლი 23

სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ შეიძლება არანაირი სააღსრულებო ან პრევენციული ზომების განხორციელება ხელშემკვრელი სახელმწიფოს საკუთრების მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა და იმ ფარგლებში, სადაც სახელმწიფო პირდაპირ და წერილობით ადასტურებს ამას კონკრეტულ საქმეში.

თავი IV - პირობითი დებულებანი

მუხლი 24

1. მიუხედავად მე-15 მუხლის დებულებებისა, თითოეულ სახელმწიფოს, წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას, ან ნებისმიერ შემდგომ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინებით შეუძლია განაცხადოს, რომ საქმეებში, რომლებიც არ შედიან პირველიდან მეცამეტე მუხლების ფარგლებში, მისი სასამართლოები უფლებამოსილნი იქნებიან განახორციელონ საქმის წარმოება სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მისი სასამართლოები უფლებამოსილნი არიან წარმართონ საქმის წარმოებაა იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც არ არიან წინამდებარე კონვენციის მხარეები. ასეთი განცხადება არ ეწინააღმდეგება იმ იმუნიტეტებს იურისდიქციისაგან, რომლებითაც სარგებლობს უცხო სახელმწიფო

იმ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელებულია მისი სუვერენული ხელისუფლების გამოყენებისას (acta jure imrerii).

3. იმ სახელმწიფოს სასამართლოებს, რომელმაც გააკეთა პირველ პუნქტში გათვალისწინებული განცხადება, მაინც არ ენიჭებათ უფლება წარმართონ ასეთი საქმია წარმოება სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ თუ მათი იურისდიქცია შესაძლებელია დაეფუძნოს მხოლოდ ერთ ან მეტ საფუძველს, რომელიც მითითებული წინამდებარე კონვენციის დანართში, თუ სხვა ხელშემკვრელმა მხარემ საქმია წარმოებაში გადადგა საქმის საგანთან დაკავშირებული ნაბიჯი, სასამართლოს იურისდიქციის ეჭვის ქვეშ დაყენების გარეშე.

4. მეორე თავის დებულებები გამოიყენება ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, წინამდებარე მუხლის შესაბამისად ინიციირებული საქმია წარმოებისას.

5. პირველი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება შესაძლებელია იქნას გამოტანილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადებით. გამოტანა ძალაში შევა მისი მიღების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, მაგრამ არ იქონიებს ზეგავლენას იმ საქმის წარმოებაზე, რომელიც ინიციირებულ იქნა იმ თარიღამდე, როდესაც გამოტანა შედის ძალაში.

მუხლი 25

1. ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელმაც გააკეთა განცხადება 24-ე მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევებში, რომლებიც არ შედიან პირველიდან მე-13 მუხლების ფარგლებში, ვალდებულია მისცეს მსვლელობა სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმ სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, რომელმაც გააკეთა მსგავსი განცხადება:

ა. იმ შემთხვევაში თუ მეოცე მუხლის 1ბ. პუნქტში ჩამოთვლილი პირობები იქნა შესრულებული; და
ბ. იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია შემდგომი პუნქტების შესაბამისად.

2. თუმცა, ხელშემკვრელი მხარე არ არის ვალდებული მისცეს მსვლელობა ასეთ სასამართლო გადაწყვეტილებებს:

ა. იმ შემთხვევაში თუ არსებობს საფუძველი უარის თქმისა, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-20 მუხლის 2 პუნქტით; ან
ბ. იმ შემთხვევაში თუ არ იქნა დაცული 24-ე მუხლის მეორე პუნქტის დებულებები.

3. მეოთხე პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, ჩაითვლება, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია 1ბ. პუნქტის თვალსაზრისით:

ა. იმ შემთხვევაში თუ მისი იურისდიქცია აღიარებულია იმ შეთანხმების დებულებათა შესაბამისად, რომლის მხარეებიც არიან ადგილმდებაროების სახელმწიფო და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოები;
ბ. როდესაც არ არსებობს შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღიარებისა და შესრულების შესახებ, თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოებს ექნებოდათ უფლება განეხორციელებინათ იურისდიქცია თუ გამოიყენებდნენ, mutatis mutandis, იურისდიქციის წესებს (გარდა წინამდებარე კონვენციის დანართში მითითებულებისა), რომლებიც მოქმედებენ იმ სახელმწიფოში, რომლის წინააღმდეგაც სასამართლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული. წინამდებარე დებულება არ გამოიყენება იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშვება კონტრაქტის საფუძველზე.

4. იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომლებმაც გააკეთეს განცხადება 24-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლიათ წინამდებარე კონვენციაზე დამატებითი შეთანხმების მეშვეობით, განსაზღვრონ ის

გარემოებანი, რომლებშიც მათი სასამართლოები ჩაითვლებიან იურისდიქციის მატარებლებად წინამდებარე მუხლის 1ბ. პუნქტის მიზნებისათვის.

5. იმ შემთხვევაში თუ ხელშემკვრელი მხარეები არ აძლევენ მსვლელობას სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას 21-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა.

მუხლი 26

მიუხედავად 23-ე მუხლის დებულებებისა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია სამეწარმეო ან სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმის წარმოებისას, რომელშიც აღნიშნული სახელმწიფო ჩართულია ისევე როგორც კერძო პირი, შესაძლებელია აღსრულებულ იქნას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში იმ სახელმწიფოს იმ საკუთრების მიმართ, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება და რომელიც გამოიყენება მხოლოდ ასეთ საქმიანობასთან კავშირში, თუ:

ა. როგორც ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ, ასევე სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც სასამართლო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი გააკეთეს განცხადებები 24-ე მუხლის თანახმად;
ბ. საქმის წარმოება, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილება შედის პირველიდან მეცამეტე მუხლების ფარგლებში ან როდესაც საქმის წარმოება ინიციირებულ იქნა 24-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად; და
გ. სასამართლო გადაწყვეტილება შესაბამისობაშია მე-20 მუხლის 1ბ. პუნქტის მოთხოვნებთან.

თავი V - საერთო დებულებანი

მუხლი 27

1. წინამდებარე კონვენციის მიზნისათვის, ტერმინი „ხელშემკვრელი სახელმწიფო“ არ მოიცავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც განცხვავდება მისგან და გააჩნია უნარი იჩივლოს ან იყოს მოპასუხე, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ორგანოს დაკისრებული აქვს საჯარო ფუნქციები.

2. პირველ პუნქტში მითითებული ორგანოების წინააღმდეგ საქმის წარმოება შესაძებელია ინიციირებულ იქნას სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოებში ისევე, როგორც კერძო პირის წინააღმდეგ; თუმცა, სასამართლოებს არ შეუძლიათ წარმართონ საქმის წარმოება ამ ორგანოების ისეთ ქმედებებზე, რომლებიც განხორციელებულია სუვერენული ხელისუფლების გამოყენებისას (acta jure imperii).

3. საქმის წარმოება ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება ინიციირებულ იქნას ნებისმიერი ორგანოს წინააღმდეგ იმ სასამართლოებში თუ შესაბამის გარემოებებში, სასამართლოებს ექნებოდათ იურისდიქცია თუ საქმის წარმოება ინიციირებულ იქნებოდა ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მუხლი 28

1. 27-ე მუხლის დებულებათა უგულვებელყოფის გარეშე, ფედერალური სახელმწიფოს შემადგენელი სახელმწიფოები არ სარგებლობენ იმუნიტეტით.

2. თუმცა, წინამდებარე კონვენციის მხარე ფედერალურ სახელმწიფოს, შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინებით, განაცხადოს, რომ მის შემადგენელ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან დაკავშირებული დებულებები და გააჩნიათ იგივე ვალდებულებანი.

3. მაშინ როდესაც ფედერალურმა სახელმწიფომ გააკეთა განცხადება მეორე პუნქტის შესაბამისად, ფედერაციის შემადგენელ სახელმწიფოსთან დაკავშირებული დოკუმენტების სერვისს უზრუნველყოფს ფედერალური სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მე-16 მუხლის შესაბამისად.

4. მხოლოდ ფედერალური სახელმწიფოა უფლებამოსილი გააკეთოს განცხადებები, შეტყობინებები და წინამდებარე კონვენციის გათვალისწინებული მიმოწერა, და მხოლოდ ფედერალური სახელმწიფო შეიძლება იყოს მხარე 34-ე მუხლის შედეგად წამოწყებული საქმის წარმოებისა.

მუხლი 29

1. წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება საქმის წარმოებასთან, რომელიც დაკავშირებულია:

ა. სოციალურ უსაფრთხოებასთან;
ბ. ზარალთან ან ზიანთან ატომურ საკითხებში;
გ. საბაჟო მოსაკრებლებთან, გადასახადებსა და ჯარიმებთან.

მუხლი 30

წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება საქმის წარმოებებთან მიმართებაში, რომლებიც დაკავშირებულია სარჩელებთან საზღვაო ხომალდებზე, რომლებიც საკუთრებაში არიან ან გამოიყენებიან ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ან ტვირთის ან მგზავრთა გადაყვანასთან ასეთი ხომალდების მეშვეობით ანიმ ტვირთის გადატანასთან, რომელიც ეკუთვნის ხელშემკვრელ სახელმწიფოს და გადაზიდვა წარმოებს საგაჭრო ხომალდის მიერ.

მუხლი 31

არაფერი წინამდებარე კონვენციაში არ ზღუდავს ნებისმიერ იმუნიტეტებსა და პრივილეგიებს, რომლებითაც სარგებლობენ ხელშემკვრელი სახელმწიფოები იმსათან კავშირში რაც გაკეთდა ან შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო მისი სამხედრო ძალების მიერ ან მათთან კავშირში, როდესაც იმყოფებოდნენ სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

მუხლი 32

არაფერი წინამდებარე კონვენციაში არ ზღუდავს პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომლებიც დაკავშირებულია დიპლომატიური მისიებისა და საკონსულო თანამდებობების ფუნქციების განხორციელებასთან და მათთან დაკავშირებულ პირებთან.

მუხლი 33

არაფერი წინამდებარე კონვენციაში არ ზღუდავს არსებულ ან მომავალ საერთაშორისო შეთანხმებებს სპეციალურ სფეროებში, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე კონვენციით მოწესრიგებულ საკითხებთან.

მუხლი 34

1. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის წინამდებარე კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე, გადაეცემა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დავის ერთ-ერთი მხარის მიმართვის საფუძველზე ან სპეციალური შეთანხმების შედეგად, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან დავის მშვიდობიანი მოგვარების სხვა მეთოდზე.

2. თუმცა, არ შეიძლება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წინაშე ისეთი საქმის წამროების ინიციირებს, რომელიც დაკავშირებულია:

ა. დავასთან, რომელიც ეხება საკითხს, რომელიც წარმოიშვა სხვა ხელშემკვრელი მხარის სასამართლოში ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ ინიციირებული საქმის წარმოებისას, მანამ სანამ სასამართლომ არ გამოიტანა სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ასრულებს მე-20 მუხლის 1.ბ. პუნქტში გათვალისწინებულ პირობებს;
ბ. დავასთან, რომელიც ეხება საკითხს, რომელიც წარმოიშვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს წინაშე ინიციირებული საქმის წარმოებისას 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მანამ სანამ სასამართლომ არ გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება ასეთ საქმის წარმოებაში.

მუხლი 35

1. წინამდებარე კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ საქმის წარმოებებთან მიმართებაში, რომლებიც ინიციირებულ იქნენ მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

2. როდესაც სახელმწიფო გახდა წინამდებარე კონვეცნიის მხარე მას შემდეგ რაც იგი შევიდა ძალაში, კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ საქმის წარმოებებთან მიმართებაში, რომლებიც შეტანილ იქნენ ამ სახელმწიფოსთვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

3. წინამდებარე კონვენციაში არაფერი გამოიყენება იმ საქმია წარმოებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება, ან სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაფუძნებულია, აქტებზე, უმოქმედობაზე ან ფატებზე, რასაც ადგილი ჰქონდა იმ თარიღამდე, როდესაც წინამდებარე კონვენცია გაიხსნა ხელმოსაწერად.

თავი VI - დასკვნითი დებულებები

მუხლი 36

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას ან მიღებას. რატიფიკაციის ან მიღების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების შესახებ მესამე ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. იმ ხელმომწერი სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც შემდგომში გააკეთებენ კონვენციის რატიფიცირებას ან მიღებას, კონვენცია ძალაში შევა მათ მიერ რატიფიცირების ან მიღების შესახებ ინსტრუმენტების დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 37

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, ხმის მიმცემთა ერთსულოვნებით მიღებული გადაწყვეტილებით შეუძლია კონვენციასთან მისაერთებლად მოიწვიოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო.

2. ასეთი მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების გზით და ძალაში შევა მისი დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. თუმცა, თუ სახელმწიფო, რომელიც უკვე მიუერთდა წინამდებარე კონვენციას აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს თავის წინააღმდეგობას სხვა არაწევრი სახელმწიფოს მიერ

კონვენციასთან მიერთების შესახებ, ამ მიერთების ძალაში შესვლის თარიღამდე, კონვენცია არ იქნება გამოყენებული ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში.

მუხლი 38

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას შეუძლია დააზუსტოს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გამოყენებულ იქნება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას, ან ნებისმიერ შემდგომ დროს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადებით განავრცოს წინამდებარე კონვენციის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზ და რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებანი.

3. წინამდებარე პუნქტების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასეთ განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ ტეროტორიასთან მიმართებაში შეიძლება იქნას გამოტანილი, წინამდებარე კონვენციის მე-40 მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 39

წინამდებარე კონვენციასთან დათქმები არ დაიშვება.

მუხლი 40

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რამდენადაც ეს მასთანაა დაკავშირებული, შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების მეშვეობით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ. თუმცა, წინამდებარე კონვენცია გააგრძელებს მოქმედებას იმ საქმის წარმოებებთან მიმართებაში, რომლებიც ინიციირებულ იქნენ იმ თარიღამდე, სანამ ასეთი დენონსაცია შევა ძალაში და იმ სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რომლებიც მიღებულ იქნა ამ საქმია წარმოებების შედეგად.

მუხლი 41

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და წინამდებარე კონვენციასთან მიერთებულ ნებისმიერ სახელმწიფოს:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის თაობაზე;
ბ. რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის ნებისმიერი დეპონირების თაობაზე;
გ. 36-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ. მე-19 მუხლის მეორე პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების თაობაზე;
ე. 21-ე მუხლის მეოთხე პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი კორესპონდენციის შესახებ;
ვ. 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;
ზ. 24-ე მუხლის მეოთხე პუნქტის დებულებათა შესაბამისად ნებისმიერი შეტყობინების გამოტანის შესახებ;

თ. 28–ე მუხლის მეორე პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების თაობაზე;
ი. 37–ე მუხლის მესამე პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების თაობაზე;
კ. 38–ე მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების თაობაზე;
ლ. 40–ე მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინებისა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

რის დასტურადაც, ამაზე შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილმა ხელმომწერებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ქალაქ ბაზელში, 1972 წლის მაისის მეთექვსმეტე დღეს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ერთ ასლად, რომელთაგან ორივე თანაბარი ძალისაა და რომელიც დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადაუგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერსა და მიერთებულ სახელმწიფოს.